საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების ვიზიტი

ქ. ლონდონში 22-24 მაისი, 2023 წელი

მ/წლის 22-23 მაისს, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით ლონდონს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მარიამ ლაშხი, და პარალმენტის წევრები ირაკლი მეზურნიშვილი და ხათუნა სამნიძე. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში, სოფიო ქაცარავა და საელჩოს მრჩეველი, ლია მელიქიშვილი.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საგარეო და თავდაცვის კომიტეტების თავმჯდომარეებთან, საქართველოს საკითხებზე მომუშავე პარტიათაშორისი ჯგუფის ხელმძღვანელთან და წევრებთან, განათლების კომიტეტის თავმჯდომარესთან, საგარეო ურთიერთობებზე მომუშავე პარტიათაშორისი ჯგუფის ხელმძღვანელთან, საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის წარმომადგენელთან და ანალიტიკური ორგანიზაციების მკვლევარებთან. შეხვედრებზე განიხილეს უსაფრთხოების საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, შავი ზღვის რეგიონში არსებული რთული ვითარება, საქართველოს სამშვიდობო როლი რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე განხორციელებული პროგრესი და საშინაო საკითხები.

ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ტობაიას ელვუდთან შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე, მათ შორის: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე და სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნების საკთხში საქართველოს მზარდ როლზე. ქართულმა დელეგაციამ აგრეთვე მიმოიხილა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული პროგრესი და ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე. საუბარი შეეხო უკრაინაში განვითარებული მოვლენების პირდაპირ გავლენას საქართველოსა და ზოგადად, რეგიონის უსაფრთხოებაზე.

დელეგაციის წევრებმა ბრიტანელ კოლეგას მიაწოდეს ინფორმაცია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში განვითარებულ ბოლო მოვლენებზე და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივაზე. შეხვედრაზე ასევე განიხილეს რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა, რაც ქართული დელეგაციის განცხადებით ემსახურება ქვეყნის დესტაბილიზაციას და ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის დაბრკოლებების შექმნას.

ქართულმა დელეგაციამ დეტალურად მიმოიხილა საქართველოს მიერ უკრაინისთვის და უკრაინელი ლტოლვილებისთვის გაწეული დახმარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, რომელიც ყველა საერთაშორისო ფორმატში აქტიურად უჭერს მხარს უკრაინას.

ტობაიას ელვუდი დაინტერესდა ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე განხორციელებული პროგრესით, თუმცა, დასძინა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მთავარ წინაღობას

წესდების მე-5 მუხლი წარმოადგენს. მისი თქმით, საქართველომ ალიანსის წევრ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად უნდა იმუშავოს გაწევრიანების ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად და აქვე გამოთქვა მოსაზრება საქართველოს ნატო-ში დათქმით გაწევრიანების შესახებ, რაც მოიცავს წესდების მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების საქართველოზე გაუვრცელებლობას.

შეხვედრის ფარგლებში ნიკოლოზ სამხარაძემ ბრიტანელ კოლეგას გაუზიარა საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული პროგრესი. მან ყურადღება გაამახვილა ინტეგრაციის გზაზე დროში გაწერილი გეგმის არარსებობაზე, რაც ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციის კონკრეტულ ვადებს ბუნდოვანს ტოვებს. შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის წარმატებული თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. საპარლამენტო დელეგაციამ ტობაიას ელვუდი სამუშაო ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

ამავე დღეს, საპარლამენტო დელეგაციამ შეხვედრა გამართა გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ახლადდანიშნულ დირექტორთან, კრისტოფერ ალანთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ქართულმა დელეგაციამ ბრიტანულ მხარეს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების თაობაზე და გამოითქვა იმედი, რომ 2023 წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს. ნიკოლოზ სამხარაძის მხრიდან არაერთხელ აღინიშნა საქართველოს წარმატებული ევროინტეგრაციის პროცესის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ხაზი გაესვა ვილნიუსის ნატო-ს სამიტზე ქართული მხარის მოლოდინებს. კრისტოფერ ალანმა თავის მხრივ დაადასტურა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

მხარეებმა ასევე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების პროცესზე. საუბარი შეეხო რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებსაც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, რაც ქართული დელეგაციის განცხადებით ქვეყნის დესტაბილიზაციისა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის შესაფერხებლად არის მიმართული. ქართულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა არ დაუშვებს სანქცირებული ავიაკომპანიებისა და ხომალდების ოპერირებას. დირექტორის მხრიდან ყურადღება გამახვილდა რუსეთთან ვაჭრობის ზრდაზე. ქართული დელეგაციის განმარტებით რუსეთთან წლიური სავაჭრო ბრუნვა არის დაახლოებით 2,5 მილიარდი, რაც მოიცავს ძირითადად აგრო და სასუქ პროდუქტებსა, რომელთა რეალიზებაც ევროპის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით ვერ ხორციელდება.

23 მაისს დელეგაციამ შეხვედრა გამართა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ალისია ქერნსთან. შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და უორდროპის დიალოგის საპარლამენტო განზომილების მეტად გააქტიურებას. ნიკოლოზ სამხარაძემ ბრიტანელ კოლეგას გააცნო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობა. მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობა როგორც ორმხრივ, ისე - მრავალმხრივ ფორმატებში. ქართულმა დელეგაციამ ვრცლად ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე და მიმოიხილა რეგიონში არსებული უსაფრთხოების

გამოწვევები. ყურადღება გამახვილდა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე. აგრეთვე, აღინიშნა საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა და რეგიონული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები. აქვე, საუბარი შეეხო ,,შუა დერეფნის" მნიშვნელობას.

მხარეებმა განიხილეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და საქართველოს როლი რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხში. ქართულმა დელეგაციამ ალისია ქერნსი და საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები სამუშაო ვიზიტით საქართველში მოიწვია.

საქართველოს საკითხებზე მომუშავე პარტიათაშორისი ჯგუფის (APPG) ხელმძღვანელთან, ჯონათან ჯანოგლისთან და ჯგუფის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა იყო ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. საუბარი შეეხო მ/წლის 28 აგვისტოს კვირაში ჯგუფის წევრების დაგეგმილ ვიზიტს საქართველოში. ასევე, განიხილეს უსაფრთხოების გამოწვევები, ევროკავშირში ინტეგრაცია, რეგიონში და სამეზობლოში არსებული ვითარება, შიდაპოლიტიკური საკითხები და უკრაინაში მიმდინარე რუსეთის აგრესია. მხარეებმა მიმოიხილეს ბრიტანეთში მოახლოებული არჩევნები (ცნობა: არჩევნები 2024 წლის ბოლოს იგეგმება) და შიდაპოლიტიკური გარემო. ქართულმა დელეგაციამ სხვა შეხვედრების მსგავსად ისაუბრა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებასა და რუსეთის მხრიდან მიმდინარე პროვოკაციულ ქმედებებზე. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე დამსწრეთა უმრავლესობა ნამყოფია საქართველოში, მათ შორის - საოკუპაციო ხაზზე. დელეგაციის მხრიდან აქცენტი გაკეთდა ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციაზე და ხსენებულ ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის სარგებელზე. საუბარი შეეხო ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების საკითხს და გამოითქვა იმედი, რომ საქართველო მ/წლის ბოლოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს. აგრეთვე, დელეგაციის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაზე. ბრიტანელი კოლეგები დაინტერესდნენ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოდინების საკითხით, რაზეც დელეგაციამ ბრიტანულ მხარეს მიაწოდა ბოლო სტატისტიკური მონაცემები. ასევე, საუბარი შეეხო რუსეთის მხრიდან ფრენების აღდგენასა და სავიზო რეგულაციების მოხსნას, რაც ქართველი პარლამენტარების განცხადებით ემსახურება ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციას და ევროპული ინტეგრაციის გზაზე დაბრკოლებების შექმნას. ლორდ ბიშოპი ასევე დაინტერესდა ექს-პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით, რაზეც მას ქართული დელეგაციის მხრიდან დეტალური ინფორმაცია მიეწოდა.

საგარეო ურთიერთობებზე მომუშავე პარტიათაშორისი ჯგუფის (APPG) ხელმძღვანელთან, ლიზა კამერონთან შეხვედრაზე განიხილეს საგანმანათლებლო პროექტების გაძლიერება, კიბერ და ციფრული განვითარების სფეროებში ურთიერთობების გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს დიპლომატიური და სამსახურეობრივი პასპორტების მქონე პირთათვის და საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის ბრიტანეთის სავიზო პროცედურების გამარტივებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ. ლონდონში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ლიზა კამერონისა და ჯონათან ჯანოგლის მიერ მომზადდება წერილი ბრიტანეთის საშინაო საქმეთა ოფისის სახელზე და მოხდება ზემოხსენებული თემის კვლავ წამოწევა. აღსანიშნავია, რომ სავიზო პროცედურების გამარტივების შესახებ საქართველოს საელჩომ წერილობით არაერთხელ მიმართა, როგორც საშინაო საქმეთა ოფისს, ისე - დიდი ბრიტანეთის პარლამენტს.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარესთან, რობინ უოკერთან შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებზე. ხაზი გაესვა ამ მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას. ქართულმა დელეგაციამ ბრიტანელ კოლეგებს გააცნო განათლების კოდექსის მიღებასთან, პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაძლიერებასთან და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით სამთავრობო პროექტები და გეგმები.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციამ შეხვედრა გამართა საგარეო პოლიტიკისა და ევროპული რეფორმების ცენტრის დირექტორთან, იან ბონდთან და მონაწილეობა მიიღო ჰენრი ჯექსონის საზოგადოების მიერ გამართულ მრგვალ მაგიდაში. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, მათ შორის: ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენის პოლიტიკა, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რეგიონული უსაფრთხოების და ასევე, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები მიმოიხილა. ბრიტანელი ექსპერტები და ანალიტიკოსები საქართველოში რუსული დეზინფორმაციის კამპანიით და რუსების მიერ გამოყენებული მეთოდებით დაინტერესდნენ. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას, შავი ზღვის უსაფრთხოებას, ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის საკითხსა და საქართველოს მიერ უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავებას. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილებისა და რუსეთის მოქალაქეების საკითხებით.